აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

MUNICIPALITY COUNCIL OF ABASHA

0200 აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1 ტელ/ფაქსი 412: 29-19-19

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №1-024

აბაშა, 2020 წლის 13 მარტი

,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების გათვალისწინებით, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საქმიანობის დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად და „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით 2020 წლის 16 მარტიდან დაევალოთ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელებს უზრუნველყონ:
ა) შესაბამისი ღონისძიებების გატარება თანამშრომელთა დისტანციური მუშაობის უზრუნველსაყოფად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონკრეტული ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელია სამსახურში გამოცხადება;
ბ) მოქალაქეთა მიღების შეზღუდვა, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა;

გ) ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე შეჩერდეს ისეთი ტიპის კომისიების სხდომების გამართვა (გარდა ჯანდაცვის მიმართულებისა) რომელზეც ესწრება დაინტერესებული პირები და მოქალაქეები;

დ) დაწესდეს იმ ტიპის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა რომელი მომსახურების მიღებაც დაკავშირებულია ხალხმრავლობასა და ისეთ გარემოსთან, სადაც შედარებით მაღალია ვირუსის გავრცელების რისკი:

დ.ა) საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე მატერიალური ფორმით განცხადებების მიღება, აღნიშნულის თაობაზე ახალი განცხადების გავრცელებამდე. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვით დაინტერესებულ პირებს განემარტოთ, რომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული განცხადების წარდგენით შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: abasha.mun@gmail.com.

დ.ბ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა;

დ.გ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსების ჩატარება;

ე) ეთხოვოთ მოქალაქეებს, თუ აუცილებლობას არ წარმოადგენს მუნიციპალური სერვისებით სარგებლობისათვის მატერიალური ფორმით განცხადების და დოკუმენტების წარდგენა, ასეთი სერვისის მიღებისათვის მიმართვა განახორციელონ ელექტრონული განცხადების და დოკუმენტების წარდგენით შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: abasha.mun@gmail.com.

ვ) მოქალაქეებმა მაქსიმალურად თავი შეიკავონ ხალხმრავალ ადგილებში მისვლისგან, მათ შორის, მუნიციპალური მომსახურებით სარგებლობისგან, თუ ამის უკიდურესი აუცილებლობა არ დგას. დაინტერესებულ პირებს მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ დისტანციურად ცხელ ხაზზე: ტელ.: 599855787 დაკავშირების გზით.

2. შეჩერდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტაჟიორთა გამოცხადება და მიღება სიტუაციის გამოსწორებამდე.

3. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულებით განსაზღვრული პირების გათვალისწინებით, ასევე, სამსახურში არ გამოცხადდეს საჯარო მოსამსახურეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:

   ა) რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

   ბ) მოსამსახურე:

   ბ.ა) ორსული ქალი;

   ბ.ბ) რომელსაც ყავს სკოლამდელი ან/და სასკოლო ასაკის 14 წლამდე ასაკის ბავშვი.

4. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიზღუდოს თემატური საჯარო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

5. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე მოთხოვნისთანავე, ვალდებულია დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 1 საათისა) გამოცხადდეს სამსახურში. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.

6. დაევალოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს გოჩა ხურცილავას კონტროლზე აიყვანოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.

7. დაევალოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს უზრუნველყოს ამ ბრძანების პროაქტიულად გამოქვეყნება.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი